საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 23 0000409476

11/04/2023

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27 -ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.
1.4. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ 2022 წლის 07 დეკემბრის №02/157 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1566165, 07/12/2022), ცენტრში წარმოდგენილ იქნა სააკრედიტაციო განაცხადი "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 14 დეკემბრის №1606663 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალი აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2023 წლის 13 იანვრის №24686 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2023 წლის 26 იანვარს.

ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		**x**		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2023 წლის 28 მარტს.*** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული აკრედიტაციის სტანდარტების საერთო შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის თავლისუფალი აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (01/07/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი N2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 11 აპრილის სხდომის №408636 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი№3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1. სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების პროცედურების ნაწილში პროგრამა საჭიროებს უფრო კონკრეტულ, დეტალურ და გამჭვირვალე განმარტებებს/აღწერას;

2. პროგრამას სჭირდება პროაქტიული მობილობის პოლიტიკა - სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის კლასგარეშე აქტივობებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე მსგავს აქტივობებში საზღვარგარეთ (მაგალითად, Erasmus+ პროგრამა);
3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სათანადო აქტიურობა სამეცნიერო სფეროში (კვლევების ჩატარება, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ.);
4. რეკომენდირებულია აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსში გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტის ასაგებად და მოსამზადებლად აუცილებელი საკითხები, როგორიცაა ნაშრომის სტრუქტურა, სათაური, დასკვნა და ა.შ

რჩევები:

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეეძლო უფრო ზუსტად და სტრატეგიულად გაეანალიზებინა დამსაქმებლების ინტერესების გამოკითხვები, რომლებიც შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა ჩაატარა. საბოლოო შედეგები სასურველია აისახოს პროგრამის მომავალ განვითარებაზე;
2. სასურველია დეტალური თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა შემდგომი შეფასების პროცესებისთვის;
3. თუ პროგრამას აქვს ლოგიკური შრომის ბაზარი, და მისი სტრატეგია ძირითადად ეროვნულზე არის ორიენტირებული, მომავალში კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სასურველია შემუშავდეს უფრო საერთაშორისო ორიენტირებული სტრატეგიაც. ამის დაწყება შესაძლებელია არსებული პარტნიორობისა და საერთაშორისო პროგრამების გამოყენებით;
4. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს რომ შეფასება პროაქტიულის ნაცვლად ძირითადად მონაცემთა ანალიზზე იყოს ორიენტირებული;
5. სასურველია მომავალში უფრო მეტი ინგლისური ენის კურსების ორგანიზების უზრუნველყოფა სამართლის სპეციალიზებულ დარგებში, ასევე სამართლებრივი სისტემების/ეროვნული სისტემების შედარებითი მიდგომის უზრუნველყოფა პროგრამის მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს სტუდენტების მეტი მონაწილეობა იმიტირებულ სასამართლოებში/ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე;
6. სასურველია ნაშრომების თემების ადაპტირება საერთაშორისო სამართლის/საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენებთან, ვინაიდან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სამართალს;
7. სასურველია განისაზღვროს სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში;
8. სასურველია, აკადემიამ ჩაატარებს შრომის ბაზრის კვლევას ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კანონმდებლობის გათვალისწინებით და განაგრძობს სასწავლო გეგმების შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით, ძირითადი საგნების პარალელურად.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ***2023 წლის 28 მარტს.***
6. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2024 წლის 28 მარტი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 28 მარტი

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი - 2024 წლის 28 მარტი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	(01/07/2026